



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№807 2016 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

**„შელავათიანი აგროკრედიტის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების
ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შელავათიანი აგროკრედიტის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული:

1. „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ (დანართი №1):

ა) მე-2 მუხლის „3¹¹“ და „3¹²“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„3¹¹) საგრანტო პროექტი - სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, რომელსაც ახორციელებს სააგენტო;

3¹²) გრანტი - საგრანტო პროექტის ფარგლებში სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსება;“;

ბ) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3¹⁴“, „3¹⁵“ და „3¹⁶“ ქვეპუნქტები:

„3¹⁴) სახელმწიფო საწარმო - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომლის აქციების ან წილის 50%-ის ან მეტის მესაკუთრეა სახელმწიფო;

3¹⁵) მუნიციპალური საწარმო - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომლის აქციების ან წილის 50%-ის ან მეტის მესაკუთრეა მუნიციპალიტეტი;

3¹⁶) სახელმწიფოსთან აფილირებული საწარმო - სახელმწიფო, მუნიციპალური ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოს შვილობილი საწარმო; სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრებით პირდაპირ ან არაპირდაპირ დაფინანსებული საწარმოები; სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მეშვეობით დაფინანსებული საწარმოები; ასევე სახელმწიფო, მუნიციპალური ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოები, რომლებიც მართვის უფლებით გადაცემულია მესამე პირებზე.“;

გ) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი (გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა), მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.“;

დ) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) ალკოჰოლური სასმელების წარმოება (გარდა ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისა);“;

ე) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ბ) მეფრინველეობის ფერმა (სესხის გაცემა უნდა მოხდეს „ფერმის კრიტერიუმების“ დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელსაც შეიმუშავებს სააგენტო სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად და რომელიც განთავსდება სააგენტოს ვებგვერდზე);“;

ვ) მე-7 მუხლის 25-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ) მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ მუხლი:

„მუხლი 7¹. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის კომპონენტის ქვეკომპონენტი ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის (ალკოჰოლური სასმელები)

1. ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრედიტის ოდენობის მიხედვით, ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები (ალკოჰოლური სასმელები) იყოფა 2 კატეგორიად: ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მიერ შეღავათიანი აგროკრედიტ(ებ)ის მიმდინარე ნაშთის ჯამური მოცულობა წინამდებარე ქვეკომპონენტის ფარგლებში შეადგენს 20 000 ლარიდან 600 000 აშშ დოლარამდე (ან ეკვივალენტი ლარი) და ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მიერ შეღავათიანი აგროკრედიტ(ებ)ის მიმდინარე ნაშთის ჯამური მოცულობა წინამდებარე ქვეკომპონენტის ფარგლებში